პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик — Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 82 (19823) ოთხშაბათი, 8 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ДИРСЛЕБЕБИ ШЕВЕХВДЕТ ПИРВЕЛ МАИСС

სადღესასწაულო შრომითს ვახტზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზეა ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის ვეტერანი ხარატი იური ლაგკოევი. მას არაერთხელ გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებაში და ამის დასტურად მრავალი ჯილდოც დაიმსახურა, ახალგაზრდობის დამრიგებელი, შრომაში სამაგალითო უყვართ აღზრდილებს და მის სახელს სიამაყით წარმოთქვამენ. იგი ყოველდღიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს. ამიტომაც არის, რომ მოწინავე ხარატი ამჟამად პროდუქციას მაისის ანგარიშში უშვებს. მას დიდი ოქტომბრის ზეიმისათვის ორი წლის დავალების შესრულება არ გაუჭირდება. ოსტატის გადაწყვეტილებაა საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით მიაღწიოს უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას, დაზოგოს მასალები, ელექტროენერგია და თავის სამუშაო უბანზე საუკეთესო შედეგები მოიპოვოს.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

შიგარეზერვების გამოქენებით

ტყიბული. (საკ. კორ.). „ხუთწლედის ორი წლის გეგმა — ვადამდე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის — პირველ დევიზით შრომობს ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს მოწინავე კოლექტივი. ამ დღეებში აქ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისის დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის.

შრომითი წარმატებები განაპირობა შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, შიგარეზერვების მაქსიმალურმა გამოყენებამ, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის თანვარ-მარტის დავალება ვადაზე ოთხი დღით ადრე შესრულდა. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია გაეგზავნა.

საწარმოს საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით იმ საამქროთა კოლექტივებს, რომელთაც თ. ბოჭორიშვილი, ზ. ზაქარიაძე და უ. ხუციშვილი უდგანან სათავეში.

„საძმანახშირის“ ტყიბულის მინდელის სახელობის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბანში მრავალი ადამიანი შრომობს თავდადებით. მათ შორის გახლავთ წმენდითი სანგრევის მუშა შარიშონ ჯავახაძე, რომელიც აქ 18 წლის წინათ მოვიდა და ახლა თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნეა. იგი ჩაბმულია პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამოირჩევა პასუხისმგებლობით, დისციპლინით, ამხანაგებისადმი გულისხმიერებით.

სურათზე: შ. ჯავახაძე.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

არჩევნების შესახვედრად

საარჩევნო კამპანია ადგილობრივი საბჭოების, სახალხო სასამართლოების მუშაობის დათვალიერებაა

3 ივრას, 1987 წლის 21 ივნისს ყველგან ჩვენს ქვეყანაში გაიმართება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

მომავალ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სახელმწიფო და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადწყვეტილებათით სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისათვის. პარტიამ განსაზღვრა გარდაქმნის, დაჩქარების სტრატეგია და ტაქტიკა. ადგილობრივი საბჭოები სხვებზე ახლოს დგანან შრომითს კოლექტივებთან, არიან გარდაქმნის მთავარი, მამოძრავებელი ძალისა და შემოქმედის — მასების შუაგულში. საბჭოებში თავმოყრილია სახელმწიფო პოლიტიკის ყველა ძაფი, ადამიანის ინტერესები დ კოთხოვნილებანი. ისინი ყოველდღიურად საქმით ამოსტავენ მშრომელი ადამიანების ნებას, ახორციელებენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ხაზს. და რამდენად მიზანსწრაფულად იმოქმედებენ ყველა საფეხურის საბჭოები, იმდენად ენერგიულად გადაიქცევა ჩანაფიქრები კონკრეტულ შედეგებად.

საარჩევნო კამპანია ადგილობრივი საბჭოების, ჩვენი მართლმსაჯულების საქმიანობის ყოველმხრივი დათვალიერებაა. როგორ სრულდება მიღებული დადგენილებანი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ? ყველა დეპუტატი და სახალხო მოსამართლე ღირსეულად ამართლებს თუ არა ნდობას? რა გამოცდილებით უნდა შევიარაღდეთ და რაზე უნდა ვთქვათ უარი? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს გასცემენ მშრომელები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს სოციალისტური დემოკრატია, გაუმჯობესდეს საბჭოთა საარჩევნო სისტემა. არსებული მექანიზმი უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლობას ხელისუფლების არჩევითს ორგანოებში. ყველა დონის ახლანდელ საბჭოებში წარმოდგენილი არიან მუშები და გლეხები, ინტელიგენცია, ქალები და შამაკაცები, ვეტერანები და ახალგაზრდობა, ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება. საარჩევნო ორგანოები გამოხატავენ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პროფესიულ და ეროვნულ სტრუქტურას, მთელი მოსახლეობის ინტერესების მრავალფეროვნებას. ამავე დროს ზოგიერთ ხელმძღვანელს დიდხანს უკავია დეპუტატის ადგილები და მანდატი თანამდებობის ერთგვარ დანამატად მიაჩნია. არიან თავისებური „საქორწილო გენერლებიც“, რომლებიც მხოლოდ დეპუტატებად ირიცხებიან. ეს ამომრჩეველთა კრიტიკას იწვევს.

საარჩევნო სიხატემის სრულყოფა გულისხმობს შეძენილი გამოცდილების გაზარება, ამ საქმეში ახალ მიდგომათა მოსინჯვას. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად და დაინტერესებით მონაწილეობდნენ ადამიანები საარჩევნო კამპანიაში, უზრუნველყოთ მაქსიმალური დემოკრატია მისი მომზადებისა და მოწყობის დროს. ახლებურად უნდა შევხედოთ თვით არჩევნების ორგანიზაციასაც, მთავარია გაბედულად მოვიშოროთ თავიდან უმაქნისი, ზედმეტი ორგანიზებულობა, უსულგულობა და ფორმალიზმი, ყოველივე ის, რაც ხელს უშლის საქმეს. ერთ-ერთი პასუხსაგები ამოცანაა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ჩვენი საზოგადოება ღრმად არის დაინტერესებული იმით, რომ საბჭოებში არჩეული იყვნენ ავტორიტეტიანი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მაღალ დონეზე გაუძღვნენ სახელმწიფოს საქმეებს. მომავალი არჩევნების არსებითი თავისებურება ის არის, რომ არჩევნებისწინა კრებებზე განიხილავენ საარჩევნო ოლქის მიხედვით არა ერთ, არამედ რამდენიმე კანდიდატურას. ამასთან უნდა შეიქმნას ყველა პირობა მათი დაინტერესებული, საქმიანი და პრინციპული განხილვისათვის.

პირველად ექსპერიმენტის წესით მოეწყობა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს არჩევნები მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. შესახებ-მიხი დადგენილება ამ საკითხზე პრესაში დაიბეჭდა. როგორც წესი, კანდიდატთა რიცხვი ასეთ ოლქებში უნდა აღემატებოდეს მანდატების რაოდენობას. თუ ხმის მიცემის შედეგად აირჩევენ ამაზე მეტ დეპუტატს, ვიდრე მანდატია, დეპუტატები, რომლებიც ხმების ნაკლებ რიცხვს შეაგროვებენ, სარეზერვო დეპუტატებად ჩაითვლებიან. ისინი მიიღებენ შესაბამის მოწმობებს, შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობაში, ამასთან ექნებათ სათათბირო ხმა.

დეპუტატობა იოლი საქმე არ არის. კანდიდატურების დასახელებისა და განხილვის დროს მხედველობაში უნდა ვიღებდეთ ამხანაგის საქმიან, მორალურ და პოლიტიკურ თვისებებს. შეძლებს თუ არა იგი ღირსეულად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებანი? შეუძლია თუ არა ადამიანებთან მუშაობა? აქვს თუ არა მოპოვებული პატივისცემა? მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ისეთი თვისებები, როგორიც არის პრინციპულობა, სიტყვის ერთგულება. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ არც ის გარემოება, სად ცხოვრობს კანდიდატი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ იგი ცხოვრობს თავისი ოლქის ტერიტორიაზე ან. მის ახლოს, უკეთ იცის პრობლემები, რომლებიც ამომრჩევლებს აწუხებთ, მაშინ იგი უფრო აქტიურად, მეტი პასუხისმგებლობით მოქმედებს.

ყოველივე ეს მოითხოვს უფრო ყურადღებით მოვეკიდოთ დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი კრებების მომზადებას. ისინი არ უნდა მოვიწვიოთ სახელდახელოდ, ვთქვათ, შესვენების ან სხვა ნაკლებად მოსახერხებელ დროს, რაც წინათ ხშირად ხდებოდა ხოლმე. დიდ კოლექტივებში ახლა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება შეიძლება საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა საწარმოო ქვეგანყოფების კოლექტივების კრებებზე. ადამიანები იქ კარგად იცნობენ ერთმანეთს, რაც საშუალებას აძლევს მათ დაასახელონ ყველაზე ღირსეულნი. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საერთო კრებებზე, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა ყრილობებზე სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესაძლებლობანი. შეგვიძლია გამოვიყენოთ დეპუტატობის კანდიდატთა განხილვისა და დასახელების საქმეში მოსახლეობის მიზიდვის სხვა ფორმებიც. მაგალითად, მოვიწვიოთ შრომითი კოლექტივების კრებებზე მიკრორაიონების საბჭოების, სოფლის, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ოჯახისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების წარმომადგენლები.

ახლებურად უნდა მივუდგეთ დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრების მოწყობასაც. ისინი ხშირად ამართებოდა ფორმალურად, ყალბი ორგანიზებულობით, ადამიანებისათვის მოუხერხებელ დროს. ყველა მსურველს როდი შეეძლო მოხვედრილიყო ამ შეხვედრებზე, ხშირად ადამიანები კრებების მოწვევის ამბავს იგებდნენ მათი დამთავრების შემდეგ. შეხვედრების დროს სჯა-ბაასი უნდა მიმდინარეობდეს გულახდილად, საქმიანად, ამომრჩევლებისათვის საინტერესო ყველა საკითხზე. თუ საჭიროა, შეიძლება რამდენიმე კრების მოწყობაც, სხვა შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენება, ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები. მიზანშეწონილია დაინერგოს არატრადიციული შეხვედრები და საუბრები, ვთქვათ, აგიტპუნქტებში, ზაფხულის მოედნებზე, ეზოებში, სადარბაზოებთან და ა. შ. დეპუტატობის კანდიდატებს, ნდობით აღჭურვილ პირებს უნდა მიეცეთ ფართო შესაძლებლობა გამოვიდნენ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

ამომრჩეველთა განაწესები მშრომელებთან საბჭოების კავშირის ერთ-ერთი ქმედითი არხია. უნდა უზრუნველყოთ მათი საგულდაგულო და ყოველმხრივი განხილვა. გვერდი არ უნდა ავუარ-ოთ მწვავე საკითხებს, თავი არ უნდა ავარიდოთ, რთულ, მაგრამ რეალურ განაწესებს. არის შემთხვევები, როცა განაწესების აზრით ცდილობენ ცენტრს „გამოსტყუონ“ დამატებითი სახსრები და ლიმიტები. სწორი იქნება აქვე კრებებზე განვიხილოთ არა მარტო განაწესები, წინადადებათა არსი, არამედ მათი რეალიზაციის შესაძლებლობანი და გზები. ამაში, საქმის არსის გარკვევაში დგვეხმარებიან საბჭოების აღმასკომების აპარატის კომპეტენტური მუშაკები, რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ კრებებში. უცილობელი წესია — გულახდილად ვუთხრათ ხალხს, რის გაკეთება შეიძლება, რის არა, არ შევიყვანოთ შეცდომაში, არ მივცეთ ისეთი დაპირებანი, რომელთა შესრულება შეუძლებელია.

ცვლილებებია შეტანილი სახალხო სასამართლოების არჩევნებშიც. ისინი ძირითადად ემთხვევა იმათ, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. საარჩევნო კამპანიის დროს უფრო ფართოდ უნდა იმარჯოდეს ამომრჩეველებთან სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების შეხვედრები, მათი გამოსვლები მოხსენებით, ლექცია-საუბრებით შრომითს კოლექტივებში, აგრეთვე საცხოვრებელ ადგილას, ამომრჩეველთა კლუბებში. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრების დროს გამოითქმება მრავალი წინადადება. ყველაფერი, რაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და ღირებულია, უნდა გავითვალისწინოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

საარჩევნო კამპანია ჩაღდება დიდი ოქტომბრის სამოცდამეათე წლისთავისათვის მზადების პერიოდში. მისი იდეები საფუძვლად უდევს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებს. დასაბუთებულად უნდა წარმოვაჩინოთ სოციალიზმის მიღწევები, ვაწარმოოთ პროპაგანდა სიმართლის პოზიციებიდან, განვავითაროთ მასების ინიციატივა. მომავალმა არჩევნებმა დამრაზმველი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის გადიდებაში, იმაში, რომ მათი ძალისხმევა მთლიანად მოხმარდეს მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების უთუო შესრულებას.

ПРАВДА
7 აპრილის მოწინავე

საგარეჯოში ვაზის სხვლა არც კი იყო დაწყებული, რომ მანაველმა მექანიზატორებმა ვახტანგ ფოცხვერაშვილმა, ტარიელ ტერტერაშვილმა და ალექსანდრე სტეფანიშვილმა ტრაქტორს გუთნები აუბეს და ზვარში ორ კვირაში 200 ჰექტარზე მეტი ფართობი მოხნეს. ხვნის წინ ნიადაგში საჭირო სასუქები შეიტანეს.

კაკაბეთის კოლმეურნეობაში ამ საქმეში პირველი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თეიმურ ჯიკაძე. მალე მას მხარი აუბეს თანამოსაქმეებმა ვანო კუპატაძემ, ვლადიმერ ოქრომჭედლიშვილმა, გიორგი მღებრიშვილმა და სულ რაღაც 14-15 დღეში ვენახის მთელ ფართობზე გადააბრუნეს ნიადაგი.

ზვრებში მუშაობა არ წყდება

შემოდგომა-ზამთრის ხელსაყრელი ამინდები კარგად გამოიყენეს თოხლიაურელმა მექანიზატორებმა. აქ 300 ჰექტარზე მეტი ვენახი უკვე გასხლულია. სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა, რომლებიც სანარდო წესით მუშაობენ, ხელშეკრულებით ნაკისრი პირობა ასე გაინაწილეს: სოსო მათიაშვილს, ვანო მიქითაშვილსა და თამაზ ახალკაცელიშვილს ხვნის წინ ვაზის მწკრივთშორისებში სასუქი უნდა შეეტანათ, ბერდია უნაფეტოშვილს, ანდრო ქოქიაურსა და ნიკოლოზ მეკალუაშვილს კი 322 ჰექტარი უნდა მოეხნათ. თოხლიაურელმა მექანიზატორებმა კარგა ხანია, რაც პირობა შეასრულეს და ახლა ისინი სარ-ბოძის შეკეთებასა და სავენახე გზების მოპირკეთებაზე მუშაობენ.

შარშან საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა რთველის დამთავრებისთანავე ერთი კვირის განმავლობაში გასხლეს გაპიროვნებული ვენახი.

ახლა საშური დღეებია ვენახში.

ვლ. მჯედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გვიხმობს შაბათობა

მაღაროელებმა გადაწყვიტეს

კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისადვის. აქ შეიქმნა „წითელი შაბათობის“ მომზადებისა და მოწყობის შტაბი, განსაზღვრა სამუშაოთა ფრონტი.

შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს საწარმოს ყველა მუშაკი. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან გვირაბგამყვანები, საწარმოს შრომის ვეტერანები — ალიხან ხუგაევი, ციპუ კოზაევი, კიმ ნანიევი, პავლე ბაზაევი, პავლე ზასეევი, რომლებმაც გადაწყვიტეს 18 აპრილს მიაღწიონ უდიდეს შრომის ნაყოფიერებას.

საწარმოს მუშათა ნაწილი იმუშავებს მაღაროთსამმართველოს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, შეაგროვებს ჯართს.

ალმოვფხვრათ სტიქიის შედეგები, მაქსიმალურად ვიზრუნოთ ადამიანებისათვის

რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მუდმივმოქმედი კომისიის ოპერატიულმა შტაბმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზ. ა. ჩხეიძის, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების ინფორმაციები რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტიქიის უბედურების ლიკვიდაციისათვის მუშაობის შესახებ.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის, მოსალოდნელი წყალდიდობისაგან ზარალის თავიდან აცილების საქმეში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანებს მიაპყრო ყურადღება თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აღინიშნა, რომ სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, „გულგრილი არ დაუტოვებია არავინ ქვეყანასა და რესპუბლიკაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც გამსჭვალულია ადამიანებისათვის, ჩვენი რესპუბლიკისათვის ზრუნვით. ყველა საბჭოთა ხალხის ნამდვილი ინტერნაციონალიზმის, ლენინური შეგობრობის გამოხატულება, რომლებმაც სხვისი ჭირი თავიანთ ჭირად აღიქვეს, არის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, ათიათასობით მოქალაქის უანგარო დახმარება. საკავშირო და რესპუბლიკურმა ორგანოებმა გამოყვეს მატერიალური რესურსები და ფულადი სახსრები, მშრომელები დახმარების ფონდში გზავნიან პირად დანაზოგს, აწყობენ შაბათობებს და ა. შ. № 700 სპეციალურ ანგარიშზე უკვე მიღებულია 46,6 მილიონი მანეთი, აქედან დაახლოებით 15 მილიონი — რესპუბლიკის ფარგლებს გარედან.

რესპუბლიკურმა კომისიამ განსაზღვრა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობა. დაზუსტდა, კერძოდ, რომ მთლიანად დაეხგრა სახლები და ქონება დაეკარგა 409 ოჯახს, სახლები დაეხგრა 876 ოჯახს, 3 468 ოჯახს სახლები არ დანგრეულა, მაგრამ ისინი უნდა გახიზნონ მოსალოდნელი მეწყერების გამო. კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს საჭიროებს 4 778 სახლი. განსაზღვრა თითოეული ოჯახისათვის ზარალის ანაზღაურების თანხაც. დაზარალებულთ მატერიალურ დახმარებას უწევენ მთავრობა და წითელი ჯვრის საზოგადოება.

დიდი ყურადღება ეთმობა დაზარალებული სოფლებიდან ადამიანთა გახიზნვისა და ახალ ადგილებზე მათი მოწყობის საკითხს. გახიზნულები, ეს კი 668 ოჯახი — 3 152 კაცია, ახლა ცხოვრობენ ქალაქ მარნეულში, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გარდაბნის, დმანისისა და თეთრი წყაროს რაიონებში. თამარისი და უდაბნო, ნაგები და მარტყოფი, კრწანისი და ასურეთი — აი იმ სოფლების არაასრული ნუსხა, სადაც გადმოსახლებულები მიიღეს. მათთვის დიდად ზრუნავენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, მთელი მოსახლეობა. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები და შრომის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები დეტალურად სწავლობენ გადმოსახლებულთა პროფესიულ შემადგენლობას, კონკრეტულად განიხილავენ და წყვეტენ თითოეულ საკითხს.

რესპუბლიკურმა კომისიამ ოპერატიულად გასწია დაზარალებულ ოჯახთა მომავალი საცხოვრებელი ადგილების განსაზღვრისათვის საჭირო დიდი მუშაობა. ითქვა, რომ სოფელ ტანძიაში უნდა დაასახლონ 150 ოჯახი, ლომთაგორაში — 100, ჯანდარაში — 350, დმანისის რაიონის სოფელ პანტიანში — 350, დურნუკში — 370, გოლთეთში — 200, საყულიაში — 270 და ა. შ. სულ კი აღნიშნულ რაიონებში, აგრეთვე ქალაქ წყალტუბოს ზონაში, წულუკიძისა და მახარაძის რაიონებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებიდან უნდა გადაასახლონ 2 052 ოჯახი.

ყველა სოფელში შერჩეულია მიწის ნაკვეთები ახალმოსახლეთათვის. ზოგიერთ შემთხვევაში აპირებენ შექმნან ახალი დასახლებანი. შემუშავებულია საცხოვრებელი სახლების სამი ტიპობრივი პროექტი, რომლებიც მოიწონეს იმათ, ვინც ამ სახლებში უნდა იცხოვროს. ახლა მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება, ადგილმდებარეობასთან პროექტების მისადაგება. დამპროექტებლებს დაევალათ დაიჩქარონ ეს სამუშაო, ყველაფერი იღონონ, რათა ისინი გრძნობდნენ თავს ბატონ-პატრონებად ახალ ადგილებში, სისტემატიურად ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ოპერატიულად უნდა გადავწყვიტოთ საცხოვრებელი სახლების, სოციალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობასთან, ყოველივე საჭიროს შეძენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ელების საგნების შეძენას, პირუტყვის ყიდვას მიხმარდება კიდეც დახმარების ფონდის სახსრები ისეთი ვარაუდით, რომ მოსახლეობა მთლიანად განთავისუფლდეს ხარჯებისაგან.

მუშაობა უკვე მიმდინარეობს. მაგალითად, ხობის რაიონში შენდება 40 სახლი, ქალაქ ჭიათურის ზონაში — 10, ცაგერისა და ლაჩხუთის რაიონებში — 6-6. გარდა ამისა, კაპიტალურად რემონტდება 85, მიმდინარე რემონტი უკეთდება 250 სახლს.

მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ თვით გადმოსახლებულნი და დაზარალებულნი. მათ დასახმარებლად იგზავნება კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სპეციალური ბრიგადები.

რესპუბლიკის ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახაგრომრეწვს, შრომის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ უწინარეს ყოვლისა მაქსიმალურად იზრუნონ ახალ ადგილებში გადასახლებული ადამიანებისათვის. ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ისინი გრძნობდნენ მუდმივ ყურადღებას, იღებდნენ სამუშაოს სპეციალობისა და მოწოდების მიხედვით, გრძნობდნენ თავს ბატონ-პატრონებად ახალ ადგილებში, სისტემატიურად ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ოპერატიულად უნდა გადავწყვიტოთ საცხოვრებელი სახლების, სოციალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობასთან, ყოველივე საჭიროს შეძენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ამჟამად აღდგენილია მიმოსვლა ყველა რაიონული ცენტრისა და ქალაქისაკენ მიმავალ ავტოგზებზე, ყველა დასახლებული პუნქტი მარაგდება ელექტროენერგიით, აღდგენილია სატელეფონო კავშირი ყველა დაზარალებულ რაიონთან. მდინარე რიონზე აღდგენილი 7 კილომეტრი ჯებირის გაყოლებით განუწყვეტლივ მორიგეობენ სპეციალისტები, რათა გამორიცხონ განვლილი ზამთრის მოვლენების განმეორება.

დღეს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მზადება მოსალოდნელი წყალდიდობისათვის. რაიონული ცენტრების ლენტეხისა და ცაგერისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მდინარეები ლასკადურა და ცხენისწყალი. თოვლის საფარი დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ნორმალს 4-5-ჯერ აღემატება. როგორც შტაბში ითქვა, აპრილისათვის პროგნოზი შედარებით სასიკეთოა: დათბობა აციებით შეიცვლება, ასე რომ, თოვლი თანდათანობით დადნება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეიძლება დამშვიდება, პირიქით, უნდა განვახორციელოთ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა მოსალოდნელი წყალდიდობისაგან ზარალი მინიმუმამდე შევამციროთ.

ოპერატიულმა შტაბმა შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, შესაბამისი დავალებანი მისცა სამინისტროებსა და უწყებებს.

შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

შეიქმნა ოლქები, მტკიცდება კომისიები

დაიწყო რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია. იმართება რა პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ პირველად, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს, მას ახასიათებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მიერ წამოყენებული მითითებების პრაქტიკული რეალიზაციის, გარდაქმნისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის, მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ატმოსფერო.

დამთავრდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნა. როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გვითხრეს, თუ არ ჩავთვლით გამსხვილებულ მრავალმანდატიან ოლქებს, სადაც ექსპერიმენტის სახით გიმართავთ არჩევნები წითელწყაროსა და ოჩამჩირის რაიონებში, მათმა რიცხვმა შეადგინა 49.447 — 50 ოლქით მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში იყო. ეს გამოიწვია იმან, რომ არჩევნებს შუა პერიოდში შეიქმნა სახალხო დეპუტატთა ახალი სასოფლო საბჭოები: მუკუზნისა — გურჯაანის რაიონში, ჯიგრაშენისა — ბოგდანოვკის რაიონში, დამია-გიაფარარხისა — მარნეულის რაიონში.

დასასრულს უახლოვდება საარჩევნო კომისიების შექმნა. საუკეთესო მუშები და კოლმეურნეები, სახალხო ინტელიგენციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების წარმომადგენლები დაასახელეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. მათ წევრებს შორის არიან კომუნისტები და უპარტიოები, კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებსაც დიდი ნდობა და ავტორიტეტი აქვთ თავიანთ კოლექტივებში. მათი დამტკიცების შემდეგ დაიწყო საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენელთა დასახელება, აგრეთვე საარჩევნო უბნების შექმნა, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში წარმომადგენელთა დასახელება.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების საარჩევნო კომისია ძალს იკრებს.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სამშენებლო კომპლექსის მუშაობასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის თათბირზე განიხილეს პრობლემები, რომლებიც უნდა გადაჭრან რესპუბლიკის მშენებლებმა, რათა დაძლიონ გაჭიანურებული ჩამორჩენა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შედეგები გვიჩვენებს, რომ დარგში მომწოფდა მუშაობაში ხელშემშლელი პრობლემები. ეს არის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მექანიზაციის დაბალი დონე.

მუშაობის ჩაფუშვის მთავარ მიზეზად დასახელეს ის, რომ წლიური საგეგმო დავალებანი არ შეესაბამება სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების რეალურ შესაძლებლობებს. ამის შედეგად „კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ათვისებამ განვლილ სამ თვეში შეადგინა მხოლოდ 91,4 პროცენტი, სამშენელო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმის შესრულებამ — 95 პროცენტი, საექსპლოატაციოდ გადაეცა 193,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გეგმით გათვალისწინებული 226,6 ათასის ნაცვლად.

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, ეს მაჩვენებლები მოწმობს

გავუწიოთ დახმარება, გავაძლიეროთ მოთხოვნა

აციებისა და საწარმოების რეალურ შესაძლებლობებს. ამის შედეგად „კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ათვისებამ განვლილ სამ თვეში შეადგინა მხოლოდ 91,4 პროცენტი, სამშენელო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმის შესრულებამ — 95 პროცენტი, საექსპლოატაციოდ გადაეცა 193,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გეგმით გათვალისწინებული 226,6 ათასის ნაცვლად.

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, ეს მაჩვენებლები მოწმობს დარგში დაწყებულ გარდაქმნასაც. მაგალითად, თბილისში საბინაო გეგმის შეუსრულებლობა იმის ბრალია, რომ საქართველოს სახმშენში მოქმედმა ხარისხის კომისიამ სხვადასხვა მიზეზის გამო დააყოვნა ორი საცხოვრებელი სახლის მიღება.

რამდენადმე გაუმჯობესდა დარგის ფინანსური მდგომარეობა. გ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის წინ

— ბატონ ავქენის გამოცდას აბარებენ მთელი პარტიული კადრები, მაგრამ შედეგები სხვადასხვანაირია — ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მოხსენებაში. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე კიდევ უფრო უნდა გავშალოთ მრავალი მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების, სხვადასხვა უბნის მაღალკვალიფიციური და მომზადებული კადრებით განმტკიცების გზით.

ჩვენი ხალხი იწონებს და მთლიანად უჭერს მხარს საკადრო პოლიტიკას, აქტიურად დაიწყო ხელმძღვანელთა არჩევითობის პროცესი. ერთი სიტყვით, ცხოვრება უფრო საქმიანი ხდება, ძლიერდება ბრძოლა მოჩვენებითობისა და პარადულობის წინააღმდეგ.

ვინც იდეოლოგიურ ფრონტზე იბრძვის, არ შეიძლება არ აფიქრებდეს სკკპ XXVII ყრილობაზე ნათქვამი: მეტისმეტად ხომ არ გაიყინა ჩვენთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები? სულ სხვა იყო, როცა ხალხს მომზადება, განათლება აკლდა, და სულ სხვაა ახლა, როცა თანამედროვე განათლებულ საბჭოთა ადამიანს მივმართავთ.

აი, სად უნდა დავგმოთ უპირველესად ფორმალიზმი. საუბრებს საუბრებისათვის არ უნდა ვაწყობდეთ, არც საარიცხვო დავთრის შესავსებად. ასე რომ არ მოხდეს, ახლოს უნდა ვიყოთ ადამიანებთან, კარგად ვიცოდეთ, რა სურთ, რა აღელვებთ, არ შევალამაზოთ ვითარება, რაგინდ მწარეც უნდა იყოს, სიმართლე ვთქვათ. არ შეიძლება ყველაფერზე ზოგადად ლაპარაკი. მრავალი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ კარგად უნდა იცნობდე იმათ, ვისთანაც მუშაობ, იცოდე მათი მისწრაფებანი, თუ არ გინდა ამოდ დაშვრე, სათქმელი ზუსტად უნდა

თუ არ გინდა ამოდ დაშვრე

თქვა, კოლექტივის ამოცანებს დაუკავშირო.

ახლა მიფუჩჩებული პროდუქციით ვერავის მიიზიდავ, ცუდად აკეთებ? უნდა იცოდე, რომ ხალხისათვის კი არა, საწყობისათვის მუშაობ. პროდუქციის ხარისხი კი ბევრ რამეს უკავშირდება. ხომ არ შეიძლება გაუთავებლად ილაპარაკო ერთი და იგივე, იძახო ნახევარი ხარისხიანი უნდა გქონდესო. ამიტომ სხვადასხვა საკითხზე საუბრებს ორგანულად უნდა უკავშირებდე ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, პასუხისმგებლობის გაზრდას.

„საწარმოს მომავალი ჩვენს ხელთაა“ — ერთხელ ასეთ თემაზე მქონდა საუბარი. კონკრეტული მაგალითებით ვილაპარაკე იმის შესახებ, თუ რას მიაღწევდა გაერთიანება წლის განმავლობაში. როგორ განმტკიცდებოდა ეკონომიკა, გაიზრდებოდა შემოსავალი, შრომის ანაზღაურება და ა. შ. უურადღება გავამახვილე იმაზე, თუ თითოეულმა წევრმა რა წვლილი უნდა შეიტანოს საერთო წარმატებაში. გაერთიანება გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, მაგრამ ნაწარმის ნაწილი უხარისხობის გამო სისტემატურად უკან გვიბრუნდება. რატომ ხდება ასე? რატომ არ ვუფრთხილდებით საწარმოს ღირსებას? იმ დღეს ყველა წუნისმკეთებელი დავასახელეთ, იქვე მოვთხოვეთ პასუხი, პირში ვუთხარით სათქმელი. ვფიქრობ, ამან ნაყოფი გამოიღო.

სამწუხაროდ, ხშირად საწარმოებში ისეთი პარტიიროს მდივნები, პოლიტინფორმატორები არიან, რომლებსაც არავითარი მიდრეკილება, ზოგჯერ სურვილიც არა აქვთ იდეოლოგიური მუშაობისა. საჭიროდ მიმაჩნია ისეთი ამხანაგები დავაწინაუროთ პარტიულ სამუშაოზე, რომლებსაც ექნებათ უნარი თავად მუშაობდნენ მშრომელთა იდეურ აღზრდაზე, ჰქონდეთ იდეური მუშაობის მიდრეკილება.

ზ. დარჩიძე,
ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების პოლიტინფორმატორი.

პარტიული ცხოვრება: აქტიურობა მადლია კაცისა

ერთ დროს ხახელგანთქმული ცხინვალის რაიონის კეხვის კოლმეურნეობა დაღმავალი გზით მიდის. წლების მანძილზე მოიშალა დისციპლინა, მომკითხველი კი არავინაა. პარტიული ორგანიზაცია ჭმედითი ღონისძიებების ნაცვლად ზერელე დადგენილებებს იღებს. კრებები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ეწყობა, არ ჩანს პრაქტიკული დახმარების ხელი.

დიდი ლიახვის ხეობაში, ქართლის ვაკისა და მთის შესაყართან მდებარეობს ერთი კოპწია, უძველესი ქართული სოფელი კეხვი. აქ გამოყვანილ სისხლევითი წითელ, გამრეილ და გამძლე საწარმოო ჯიშის ვაშლს სოფლის სახელი ჰქვია — „კეხურამ“ დაიპყრო ქართლის ველები, მაგრამ ახლა ვაშლისადმი ტრფობა სახელს უტეხს სოფელს. იტყვიან: — ეს როგორო?...

კეხურას ბაზარზე დიდი გასავალი აქვს და აქაურმა გლეხებმაც მთელი ყურადღება ამ ჯიშის საკარმიდამო ნაკვეთებში გაშენებაზე გადაიტანეს, საკოლმეურნეო ბაღებში კი შრომა აღარ უნდათ. მოუვლელობით დაკნინდა ხეხილი, მოსავალსაც ალარ იძლევა, ასევე უპატრონოდ რჩება მინდორ-ველი, მეტად დამფიქრებელი გარემოება შეიქმნა. პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს სწორედ ახლა მართებთ გამჭრიახობა, ისინი კი ზოგჯერ დამნაშავეთა ხელშემწყობის როლში გამოდიან.

სოფელი იზრდება, კომლი იყრება, მრავლდება. ნაკვეთები არა გვაქვსო, სულ ამას გაიძახოდნენ კეხველები. ზემდგომმა ორგანოებმა გაითვალისწინეს ეს და საკარმიდამო მიწის ფონდი გამოყვეს, მაშინ როცა მათ სამხრეთ ოსეთში ყველაზე ცოტა სავარგული — 155 ჰექტარი უკავიათ. ამან მეტი არევ-დარევა შეიტანა სოფელში. ერთ-ორს მართლაც ღირსეულ კაცს მიეცა ნაკვეთი, ბევრმა კი დრო იხელთა და თვითნებურად მიიტაცა საზოგადოებრივი მიწა. ბევრსაც უკანონობა კანონით დაუმტკიცეს. საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლებისთვის ვინც იბრძვის, იმას რომ მიესაკუთრებინა მიწა, მაშინ შეიძლება ისეთი აღშფოთება არ გამოეწვია, მაგრამ ვინც პირადულს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს, სწორედ ისინი დაეპატრონენ მას. მაგალითად, ელდარ გოგლიძემ მიიტაცა 0,08, მიშა ივანიძემ — 0,11, ალექსი კორაევმა — 0,11, ნასტია ხუგაევამ — 0,24, ჯემალ კახნიაშვილმა—0,11, ფედია ალბოროვმა — 0,13, ნუგზარ ოთინაშვილმა — 0,16, ნორა თედეევამ — 0,19 ჰექტარი და ა. შ. წარმოიდგინეთ, თვით მიწათმოქმედმა ნუკრი ნებიერიძემაც კი 0,10 ჰექტარი შემოიღობა! — გვეუბნება კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე ბ. კასრაძე.

რა ხდება? ასეთი განუკითხაობა და ძარცვა-ბლეჯა კეხვი არასოდეს ყოფილა. პარტიის ცხინვალის რაიონული კომიტეტი შეაფოთა ამ გარემოებამ. საკითხი ბიუროზე გაიტანეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნოშრევან კახნიაშვილი გაირიცხა სკკპ რიგებიდან. სოფელს ურჩიეს იგი გადაერჩიათ თავმჯდომარეობიდან. ასე იც მოხდა, მას შემდეგ ათი თვე გავიდა, მაგრამ სოფლის ახალმა წინამძღოლმა ბიჭიკო კასრაძემ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს გადაწყვეტილებიდან. არც ახლადარჩეულ პარტიკომი ბიუროს მდივანს უშანგი ბასიშვილს ეყო გამბედაობა და სიმტკიცე, რომ მიტაცებული მიწები ჩამოერთვათ და საკოლმეურნეო სარგებლობისათვის დაებრუნებინათ. ისინი მხოლოდ აქტების შედგენით დაკმაყოფილდნენ. და განა მარტო შარშან, წინათაც ხდებოდა ასეთი რამ, მაგრამ ფაყრუებამ, მეზობელ-მეგობრების არწყენინების პოლიტიკამ სახელი დაუკარგა თვით სოფლის თავკაცებს. ამ გარემოებამ საკმაოდ მოშალა შრომის დისციპლინა. ბრიგადირები ჩივინან — ხალხი სამუშაოდ აღარ გამოდიან. 996 შრომისუნარიანიდან მხოლოდ 264 კაცი მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. თანაც შარშან შრომადღეების საგალდებულო მინიმუმი 84-მა არ გამოიშუშავა. ასეთი უპასუხისმგებლობით კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგში მიჩანჩალებს და ყოველ წელს ზარალით ამთავრებს. ვერც შარშან შეასრულეს ხილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

რატომ წავიდა უკან სოფელი? როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ითქვა, კადრები წყვეტენ წარმოების ბედს. კეხვში კი წარამარა იცვლებიან ხელმძღვანელები. ვერც ერთი ვერ დამკვიდრდა, ვერ გაიყოლიეს ხალხი, ვერ დარაზმეს დიდი ამოცანების გადასაწყვეტად. მკაცრად არავის მოუკითხავს იმათთვის, ვინც საკოლმეურნეო ცხოვრების მთელი სიკეთით სარგებლობს და სოფლისთვის კი თითს თითზე არ აკარებს. არც ისეთებზე უმსჯელიათ, სოფელს რომ არცხვენენ და აკრძალული გზებით გააქვთ ხილი და მამასისხლად ყიდიან რუსეთის ბაზრებზე. ამაზე დუმს პარტიული ორგანიზაცია. პირში წყალს ჩაგუბება, ცხადია, სიკეთეს ვერ მოიტანს. პარტიული კრებები უნდა გადაიქცეს კომუნისტთა წრთობის სკოლად. ისე შეუძლებელია წინსვლა. ვინ უნდა გაიყოლიოს მასები, თუ არა კომუნისტებმა? აქ კი ისინი თავად გვევლინებიან დისციპლინის დამრღვევებად. კომკავშირელებმაც მათ მიბაძეს: 160 ახალგაზრდიდან 65 მონაწილეობდა საზოგადოებრივ შრომაში. აქედან კაცდღეების მინიმუმი მხოლოდ 38-მა გამოიშუშავა.

ასეთი საგანგაშო მდგომარეობას ოლიმპიური სიმშვიდით შეჰყურებს პარტიული ბიურო. საქმისადმი ბიუროკრატიული, ზერელე, უსულგულო მიდგომა რომ მეტად საზიანოა, ეს ნათლად ჩანს მისი საქმიანობიდან. აქ პარტიული კრებები ფორმალურად, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით იმართება. ადამიანის ფაქტორი მეორე პლანზეა. თუმცა ერთი რამეც უნდა ითქვას: აქაური კომუნისტები დარცხვენილი არიან, რაც იმის დასტურია, რომ ისინი კარგი ხელმძღვანელობით შეძლებენ დაიბრუნონ დაკარგული ავტორიტეტი. ამას გვაფიქრებინებს მეცხოველეობის ფერმის გამგის ილია კახნიაშვილის, მწველავების თინა კახნიაშვილის, მანია შოგაევას და სხვათა შემართება. ახალი თავმჯდომარის ზრუნვის შედეგად პირუტყვს უხვად აქვს საკვები. ფერმაში სისტემატურად არის ცივი და ცხელი წყალი. გამართულად მუშაობენ ნაკელგამტანი მექანიზმები. მწყემსებისათვის მოეწყო დასასვენებელი ოთახი. მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ მეცხოველეებს: არა აქვთ საკვების სრული ულუფით შემზადების საამქრო, და კიდევ ის, რომ დოკუმენტაციით ფერმას კაკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვი ერიცხება, სინამდვილეში კი ადგილობრივი ჯიშის ძროხები ჰყავთ. ამიტომ საჭიროა კიდევ შემოიყვანონ წაბლა ჯიშის პირუტყვი — მან მეტი ხორცი და რძე იცის.

— მეცხოველეთა შრომა წელს მთლიანად გადაიკმენება, — ვეუბნება ბრიგადირი, — უკვე დავიწყეთ ბრიგადული იჯარით შრომა.

ადამიანს სჯირდებათ სწორი ხელმძღვანელობა, ყოველდღიური ზრუნვა, წახალისება, რწმენის დაბრუნება, რომელიც მათ განუკითხაობით დაუკარგეს. აქ კი ბაიბურში არ არიან, არ იგრძნობა გარდაქმნის სუნთქვა. გადაშლილი პარტიული კრებების ოქმებს და თვალის ერთი გადავლებით თითქოს ყველაფერი რიგზეა: კრებები სისტემატურად იმართება, მსჯელობენ საკითხებზე. მაგრამ მათი გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ყველაფერი ფორმალურია. ოთქმის ყველა კრებას ამთავრებენ ერთფეროვანი დადგენილებით.

ფუჭი დადგენილებები და ტყუპი ოქმები

- **როცა ხელმძღვანელები წარამარა იცვლებიან**
- **უპრინციპობა მემკვიდრეობით?**
- **პარტბიუროს მიუტევებელი სიმშვიდე**

ალბათ, ასეთი რწმენით მიდიოდნენ ფორე მოსულიშვილის სახელობის მეკრორაიონის მცხოვრებნი გლდანის რაიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე. მეკროსაბჭოს დარბაზი შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე ხალხით გაიჭედა. ალექსი გოცირიძემ, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა, შეხვედრის გახსნისას თქვა, რომ არავითარი მოხსენების წაკითხვას არ აპირებს და სურს მეკრორაიონის მცხოვრებთა პრეტენზიები მოისმინოს.

ჰოდა, ალაპარაკდა ხალხი. რაზე? გეგმაში აქვთ თუ არა მეკრორაიონში ახალი სკოლის მშენებლობა, რადგან ახლანდელი ბავშვების ლამის ნახევარს ვერ იტევს? რატომ არა აქვთ გლდანში არც ერთი საქალაქთაშორისო ტელეფონ-ავტომატი, რის გამოც იძულებული არიან სალაპარაკოდ ცენტრში წავიდნენ? ბიბლიოთეკაც ისეთია, რომ აქ შეცადინეობა შეუძლებელია, წიგნის ფონდიც ღარიბია. შეკრებილნი უჩიოდნენ ტრანსპორტის მუშაობას, რომ ზოგიერთ გაჩერებაზე თავშესაფარი არ არის, ძალზე ხშირია ათასგვარი მიწის სამუშაოები, მერე კი ორმოებს მიწით არ ავსებენ. „ბლდანელებს ფეხსაცმლით იცნობ, ყველას უპრიალებს, ჩვენ კი ტალახში გვაქვს ამოსვლილი“, — იხუმრა ვიღაცამ, რასაც ერთსულოვანი სიცილი მოჰყვა.

მე. უურადღებით ვუსმენდი გამოსულთ და ვიწერდი ყველაფერს, რასაც ისინი ამბობდნენ. და აი, რა არის საინტერესო: ყველა წამოჭრილი საკითხი, კოლექტიური, საზოგადოებრივი იყო. სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი, ტაქსაფონი და ა. შ. — ეს ხომ მარტო ივანიძეს თუ ტაკიძეს არ სჭირდება, არამედ ათობით, ასობით, უფრო სწორედ ათასობით კაცს. მაშასადამე, ხალხს მეკრორაიონში სამმის ვითარება აწუხებდა და ეს მათი მოქალაქეობრივი მოწოფულობის დონეზე მეტყველებდა. რა თქმა უნდა, ალავინ გაკიცხავდა იმას, ვინც საჩივარს გამოთქვამდა იმის გამო, რომ სახურავიდან წყალი ჟონავს, მაგრამ ასეთი რამ არავის უთქვამს, თუმცა დარწმუნებული ვარ, მეკრორაიონში ერთი და ორი გაბვრეტილი სახურავი არ იქნება.

მცხოვრებთა კრებამ საქმის საერთო მდგომარეობისათვის წუხილის, მეკრორაიონში ცხოვრების გაუმჯობესების ნიშნით ჩაიარა. აღძრულ საკითხებზე პასუხს იძლევდნენ ისინი, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს ამ საკითხების გადაწყვეტისათვის: გლდანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და განყოფილებათა გამგეები. პასუხი კონკრეტული იყო. მაგალითად, აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე გობრონიძემ თეატრის თაობაზე თქვა, რომ ამჟამად განიხილავენ ორ პროექტს: ან ახალი

უკუკავშირი

- **დემოკრატია სუფთა ჰაერია**
- **მიკროსაბჭო მოქმედებს**

გულახდილად ვთქვათ: ხშირად მთავრობის, თანაც არა მარტო საკუთარი, არამედ ბევრი უცხო ქვეყნის მთავრობის წევრებს უფრო კარგად ვიცნობთ ხოლმე, ვიდრე პარტიის ჩვენივე რაიკომის თუ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წევრებს. ასევე, ზოგჯერ კარგად ვიცით, თუ როგორ მიდის ლამაზშის ქვეშ გვირაბის მშენებლობა, და ამავე დროს ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, თუ როდის გაიხსნება ჩვენს უბანში, ვთქვათ, მუსიკალური სკოლა. რატომ ხდება ასე? ჩვენი აზრით, აქ ორი მიზეზი უნდა იყოს: ჯერ ერთი, რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელები ტელევიზიით, როგორც იტყვიან, დიდი დღესასწაულის დროს თუ გამოდიან, და მეორე, ჩვენ თვითონ, მოსახლეობა, არცთუ დიდ აქტიურობას ვიჩენთ ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებების განსახორციელებლად. აბა, გაიხსენეთ, რამდენად ხშირად და ხალისით შეხვედრიხართ, ვთქვათ, თქვენი რაიონის საბჭოს დეპუტატებს? ასე გვგონია, თუ დეპუტატს შეგვახვედრებენ, უმაღლესი საბჭოსი მაინც უნდა იყოს. ნაკლები მასშტაბი ხელს არ გვაძლევს. ყოველივე ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ვერ ვისწავლეთ დემოკრატიის პირობებში ცხოვრება. და აი, ახლა პარტია დაბეჯითებით მოგვიწოდებს, ესეც ვისწავლოთ. გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ხდება, დემოკრატიის ახალ დონეს მოითხოვს. დღეს დემოკრატია უბრალოდ ლოზუნგი კი არა, გარდაქმნის არსია. დემოკრატიზმი კი სულ პატარა რამით იწყება — იმის უნარით, რომ თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად ვგრძნობდეთ. მაგრამ ამისთვის საჭიროა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენს აზრს ანგარიშს გაუწევენ, ჩვენი სიტყვა ხმად მღაღადებლისა არ დარჩება.

ალბათ, ასეთი რწმენით მიდიოდნენ ფორე მოსულიშვილის სახელობის მეკრორაიონის მცხოვრებნი გლდანის რაიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე. მეკროსაბჭოს დარბაზი შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე ხალხით გაიჭედა. ალექსი გოცირიძემ, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა, შეხვედრის გახსნისას თქვა, რომ არავითარი მოხსენების წაკითხვას არ აპირებს და სურს მეკრორაიონის მცხოვრებთა პრეტენზიები მოისმინოს.

ჰოდა, ალაპარაკდა ხალხი. რაზე? ბაგაში აქვთ თუ არა მეკრორაიონში ახალი სკოლის მშენებლობა, ოთხ-ექვსი ნაბიჯის მანძილზე ერთ-ორ ადგილზე ორ ტროლეიბუსი ერევა ერთმანეთს, ანუ ტროლეიბუსებს ერევა ერთმანეთში, ეს ასეთი ამბავი ეს ასეთი ამბავი, ეს ასეთი ამბავი, ეს ასეთი ამბავი,

უკრაინაში ფაქტები • მოვლენები

სკპკ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს შესასრულებლად

დღეს 17 საათზე, სააქტო დარბაზში გაიმართება გაერთიანების მთავარი ინჟინრის არჩევნები. გთხოვთ დაესწროთ და გამოთქვათ თქვენი აზრი განსახილველი კანდიდატურების შესახებ".

ასეთი ცნობა გაჩნდა ამას წინათ თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" ქარხნის „მიკროძრავის" განცხადებათა დაფაზე.

ხელმძღვანელის არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ტექნიკურ პოლიტიკას, წარმოებისათვის რთულ დროს მიმდინარეობდა. გაერთიანების ეთეთური ქარხანა უკვე დიდი ხანია ციებ-ცხელებას შეეპყრო. კოლექტივმა წლევანდელი წელიც ვერ დაიწყო კარგად: პირველი ორი თვის გეგმა პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობის მიხედვით შესრულდა 87,8 პროცენტით, მიწოდებისა — 82,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 76,1 პროცენტით. 24 მარტისათვის სახელმწიფო მიღების სამსახურს წარუდგინეს ნაწარმის ნახევარზე ნაკლები. წარმოებაში ფეხი მოიკიდა იერიშობანამ, როცა თვის დავალების უმეტესი ნაწილი მესამე დეკადაში სრულდება...

— ბრალი ამაში არც ერთ ადამიანს და არც ერთ ტექნოლოგიურ რგოლს არ მიუძღვის, — უთხრა კრებაზე საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ნოზაძემ. — თუმცა შემაშფოთებელი სიმპტომები განაპირობეს ტექნიკური სამსახურების შეცდომებმა, რომელთა სათავეშიც დგას ჩემი პირველი მოადგილე — მთავარი ინჟინერი. ამიტომ კოლექტივმა გადაწყვიტა განეხილებინა ხელმძღვანელობა ამ რგოლში და თავის საკადრო რეზერვს მიმართა.

საქტო დარბაზში შესვლამდე გავეცანი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატურების პირად საქმეებს.

„გ. ი. ბუგიანიშვილი, დაიბადა 1948 წელს, სკკპ წევრია 1978 წლიდან. სპეციალობით ინჟინერი-ელექტრიკოსია. 1972 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. შრომითი ბიოგრაფია დაიწყო ინჟინერ-კონსტრუქტორად".

„ვ. ტ. ჩანტლაძე, დაიბადა 1940 წელს, სკკპ წევრია 1966 წლიდან. სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, 1971 წელს დაუსწრებლად დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო ინჟინერ-ტექნოლოგად..."

„გ. მ. ნიკოლაიშვილი, დაიბადა 1946 წელს, სკკპ წევრია 1976 წლიდან. ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. 1968 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, შრომითი ბიოგრაფია დაიწყო ინჟინერ-კონსტრუქტორად..."

ქარხნის პარტბიუროს მდივანი, საწარმოს მთავარი ტექნოლოგი და მთავარი ინჟინრის მოადგილე — ეს სამი კანდიდატურა წამოაყენეს საერთო კრებაზე განსახილველად მას შემდეგ, რაც საგულდაგულოდ შეიარჩია ისინი მუშაკთა დიდი რიცხვიდან საწარმოში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა.

ნდობის ღირსია

რეპორტაჟი

კრების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ვესაუბრე პრეტენდენტებს. ვკითხე, რითი დაიწყებდნენ მუშაობას მთავარი ინჟინრის პოსტზე.

— ძალზე მაწუხებს მრავალცვლიანობის დანერგვის პრობლემები, — თქვა გ. ნიკოლაიშვილმა. — ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა შევცვალოთ მოძველებული მოწყობილობა, დავდგათ რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები. უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია გაიზარდოს საექსპორტო პროდუქციის გამოშვება.

— ჩემი აზრით, უპირველესი ამოცანაა ხელის შრომის ლიკვიდაცია, იმ სამსახურების განმტკიცება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებაში ტექნიკურ პროგრესს, — თქვა გ. ბუგიანიშვილმა.

— მთავარია ყველა სამუშაო ადგილის, ყველა ტექნოლოგიური პროცესის ზუსტი პასპორტიზაცია, ძალებისა და საშუალებების დაზოგვის რეზერვების მიგნება, — ასე ფიქრობს ჯ. ჩანტლაძე.

აზრები განსხვავებულია. მაგრამ სამივეს ერთი „პლატფორმა" აქვს — გამონახონ გაჭიანურებული კრიზისიდან საწარმოს, გამოყვანონ საშუალებები.

17 საათია. საერთო კრება იღებს სამუშაო ჯგუფის წინადადებას მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე კენჭი უყარონ სამ კანდიდატს და არჩევნები მოეწყოს ფაილი კენჭისყრით.

პრეტენდენტთა ნდობით აღჭურვილი პირნი კითხულობენ თითოეულის დახასიათებას. იწყება კანდიდატურების განხილვა...

აქ ოდნავ მინდა თემას გადავუხვიო. თვით კრების მიმდინარეობამ გამოავლინა ორატორთა ერთგვარი გაუბედაობა, ცხადი იყო, რომ წინა წლების ინერცია, როცა თანამდებობაზე ხელმძღვანელებს კოლექტივის აზრის გაუთვალისწინებლად ნიშნავდნენ, ახლაც გავლენას ახდენდა. ორატორებმა პრაქტიკულად გვერდი აუარეს კანდიდატთა უარყოფით თვისებებს. და მაინც, არ შედგა ნამდვილი საქმიანი პრინციპული კამათი, როცა კრიტიკა ერთნაირად ეხება ყველას, პიროვნებისა და დამსახურების მიუხედავად.

სანამ ხმის დამთვლელი კომისია ბიულეტენებს თვლის, ვესაუბრები შეკრებილთ. აი, ასეთ პირად საუბარში უფრო მკვეთრად ვლინდება პრეტენდენტთა საქმიანი თვისებები. ვიგეგმ, რომ, მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა გენერალური დირექტორის ავადმყოფობის გამო გ. ბუგიანიშვილი სამი თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საწარმოს და არცთუ ურიგოდ. კიდევ უფრო ადრე, როცა იგი სათავეში ჩაუდგა საამქროს, არ დაუთმია მოწინავე პოზიციები. აღმოჩნდა, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი სისუფეტი: ერთი მეტისმეტად რბილია, არ არის მომთხოვნი, მეორე, პირიქით, უკმეხია, მაგრამ საქმისათვის არაფერზე უკან არ დაიჩვენ. აი ყველაფერი ეს რომ ოქმულიყო ტრიბუნიდან, ყველას გასაგონად...

— კენჭისყრის შედეგების წინასწარმეტყველებას არ ვკისრულობ, — თქვა მექანიკური საამქროს თერმისტმა თამაზ წიქარიშვილმა. — მე მგონია, სამივე მთავარი ინჟინრობის ლირსია. მთავარი სხვა რამ არის: პირადად მე განმიმტკიცდა რწმენა, რომ კოლექტივი, ჩვენ, ყველანი ერთად, წარმოების ბატონ-პატრონები ვხდებით.

...— ვაცხადებ ფარული კენჭისყრის შედეგებს. — ტრიბუნაზე გამოდის ხმის დამთვლელი კომისიის წარმომადგენელი იური კარაპეტიანი. — გიორგი ბუგიანიშვილს ხმა მისცა 97 კაცმა, ჯემალ ჩანტლაძეს — —50, გრიგოლ ნიკოლაიშვილს — 23 კაცმა, ამრიგად, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" მთავარ ინჟინრად აირჩიეს გიორგი ბუგიანიშვილი...

ი. კვარაცხელია,
საქინფორმის კორ.

როგორ აირჩიეს საამქროს უფროსი



საწარმოო გაერთიანება „საქმიოფარმპრეპარატების" საქტო დარბაზში შეიკრიბნენ ამპულების საამქროს თანამშრომლები, რათა ვაკანტურ ადგილზე აირჩიათ უფროსი.

კენჭს უყრიდნენ ორ კანდიდატურას — საამქროს უფროსის მოადგილეს ირმალო დოლიძეს და ცვლის უფროსს ლია ლუაშვილს.

... კანდიდატები საჯაროდ დაახასიათეს: ლაპარაკობდნენ მათს საქმიან, დადებითს თვისებებზე, იმასაც ამბობდნენ, რაც არ მოსწონდათ. კანდიდატები უურადღებით ისმენდნენ კრიტიკას. ნამდვილად მოუწევთ დასკვნების გამოტანა.

და აი შედეგიც. ახორმოცდაათმა მუშამ, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობდნენ, უპირატესობა მიანიჭა ე. დოლიძეს, ხოლო ლ. ლუაშვილმა, რომელმაც ხმების მესამედი მიიღო, დაიკავა საამქროს უფროსის მოადგილის განთავისუფლებული ადგილი.

* * *

სურათზე: ირმალო დოლიძე — ამპულების საამქროს ახალი უფროსი.

ე. ვალდაჯკორიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

მხოლოდ სოციალისტური გზით

პეკინი. სოციალისტური გზა არის წარმოების ძლევამოსილი განვითარების, მძლავრ აყვავებულ ქვეყნად ჩინეთის გადაქცევისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გადამწყვეტი პირობა, განაცხადა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ პენ ჯენმა.

აქ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატთა ჯგუფთან შეხვედრაზე გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთში გაშლილ

პენ ჯენის გამოსვლა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებთან შეხვედრაზე

ბრძოლას „ბურჟუაზიული ლიბერალიზაციის" იდეური მიმდინარეობის წინააღმდეგ პირდაპირი კავშირი აქვს კითხვასთან: რომელ გზას დავადგეთ?

ჩინეთის ისტორია მოწმობს, რომ კაპიტალიზმი არ ესადაგება ჩვენს ქვეყანას, აღნიშნა ორატორმა. „ბურჟუაზიული ლიბერალიზაცია", ყველაფერში დასავლეთის მიბაძვა იწვევს სოციალისტური წყობილების უარყოფას, კაპიტალისტური წყობილებისადმი მხარდაჭერას. ეს არა მარტო კონსტიტუციის „რეფორმა", არამედ ეწინააღმდეგება კიდეც მას, ხოლო ჩინეთის კომპარტიისა და ხალხისთვის ქვეყნის პარტიის წესდების დარღვევას ნიშნავს. ამიტომ ისინი, ვინც კაპიტალისტურ გზას ქადაგებს, არა მარტო არღვევენ კონსტიტუციას, არამედ აგრეთვე ილაშქრებენ ხალხის ნების წინააღმდეგ.

შეიძლო რა ჩინეთის კომპარტიაში არაჯანსაღი ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარემ თქვა, რომ უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრებს შორის სოციალიზმის იდეების ერთგულების, ხალხის სამსახურის სულისკვეთებით.

პენ ჯენმა აგრეთვე აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, მოხმარების დონის ამაღლების მოწოდებები არამცთუ არ შეესაბამება ჩინეთის რეალურ პირობებს, არამედ შეიძლება საზოგადოების უახლოეს და გრძელვადიან ინტერესებს შორის თანაფარდობის დარღვევაც კი გამოიწვიოს. ხალხს ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ წარმოების განვითარების საფუძველზე, თქვა მან დასასრულ.

● აშშ

დეპორტაცია გადაიდო

ნიუ-იორკი. კვლავ გადაიდო პირწავარდნილი ნაცისტი დამნაშავის კარლ ლინასის ხანგოთა კავშირში დეპორტაცია, რომელსაც დიდი სამამულო ომის წლებში ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის 1962 წელს ხანგოთა სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი.

ლინასის ადვოკატებმა შეძლეს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოსათვის მიეღებინებინათ გადაწყვეტილება სსრ კავშირში მისი გაგზავნის ახალი „დროებით გადავადების" შესახებ. უზენაესი სასამართლოს წევრმა ტერგუდ მარშალმა დაადგინა დეპორტაცია გადადიოს მანამდე, სანამ უზენაესი სასამართლო სრული შემადგენლობით „არ განიხილავს" ამ საკითხს. ეს ნიშნავს, რომ ლინასი ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩება 17 აპრილამდე მაინც, როცა, როგორც საინფორმაციო საგენტორები იუწყებიან, უნდა გაიმართოს უზენაესი სასამართლოს მორიგი სხდომა.

გასული კვირის ოთხშაბათს ნიუ-იორკის ფედერალურმა საოპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირისათვის ნაცისტი დამნაშავის გადაცემის შესახებ. მაგრამ მეორე დღეს მანვე გადადო ოთხი დღით დეპორტაცია, რათა ლინასს შეეტანა აპელაცია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ლინასი იყო ფაშისტთა მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა ესტონთის ტერიტორიაზე მდებარე ტარტუს საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი და პირადად მონაწილეობდა ტყვე თა ჟლეტაში. 1951 წელს მან ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრს ედვინ მიზს არაერთგზის გაულაშქრია ჯალათის გადაცემის წინააღმდეგ. თებერვალში მან განაცხადა, რომ ლინასს 30 დღე მისცა, რათა მოეძებნა სხვა ქვეყანა, რომელიც მას თავშესაფარს მისცემდა. როგორც ცნობილი გახდა, თექვსმეტივე ქვეყანამ, რომელთა მთავრობებს თხოვნით მიმართა ფაშისტმა არამზადამ, უარი უთხრა მას.

● ინგლისი

დეპორტაციის ბანაკი

ლონდონი. ინგლისის ხელისუფლებამ ბანაკში ჩასვა ინდოეთიდან ჩამოსული ოთხასი ადამიანი, ანგარიშობენ, ინგლისში ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლის გამო. ეს ადამიანები ინგლისში ჩამოვიდნენ ინდოეთიდან ბრიტანეთის ეკონომიკურ ბლოკადასა და ინდოეთ-პაკისტანის ომის ფონზე.

ინგლისელ ჟურნალისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ინგლისში ბინადრობის ნებართვა ინდოელებს ეძლევა ინგლისელ ოჯახებთან ნათესაობის ან ინგლისელ ბანკირებთან ურთიერთობის საფუძველზე. ინგლისელ ბანკირებს ინდოეთიდან ინგლისში ჩამოსულ ადამიანებზე ინდოეთის ეროვნული ბანკისგან ინფორმაცია ეგზავნებოდა.

**ინგლისელ ბანკირთა ასოციაციის ინფორმაციით, ინდოეთიდან ინგლისში ჩამოსულ ადამიანებზე ინფორმაციის ინდოეთის ეროვნული ბანკისგან ინგლისელ ბანკირებისადმი გაგზავნა ინდოეთ-პაკისტანის ომის ფონზე ინდოეთ-ინგლისის ეკონომიკურ ბლოკადასა და ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობის ინდოეთის ეროვნული ბანკის ბოიკოტ

პაროლი: „იასოჩკა“

ვორონოვთა ოჯახის ოთხი თაობის ამბავი

აფხაზეთში ამბობენ: ჩვენში ყოველი მთა რაღაც საიდუმლოს ინახავსო. ამ ცოტა ხნის წინათ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური ნიკოლოზის ძე ვორონოვი ხელმძღვანელობდა, სოფელ წებელდის მახლობლად ერთ-ერთ გორაკზე აღმოაჩინა VI საუკუნის სიბლიუმი, აფხაზთა ძველი წინაპრების აბზილების ტომისმთავარი ციხე.

შორიახლოს კი, მეორე გორაკზე უკვე ას წელზე მეტია დგას ხეებით და უსურვაზით დაჩოდილული, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სახლი. ვორონოვთა ეს სახლი მეფის ენერგიმებისათვის სამუდამო საიდუმლოებად დარჩა. არც ერთ ადგილობრივ მცხოვრებს არ უთქვამს ოხრანკასთვის, რომ აქ გასული საუკუნის მიწურულიდან 1917 წლის თებერვლამდე ჩამოდიოდნენ კატორღიდან გამოქცეული რევოლუციონერები, რომლებიც თვითმპყრობელობას ემალებოდნენ. ამ მისამართით მოდიოდა ლენინური „ისკრა“, შემდეგ კი „პრავდა“. აქედან ვრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაში ლენინის ბროშურები და ბოლშევიკური პროკლამაციები. აქვე იყო იარაღის საწყობიც.

იური ნიკოლოზის ძე ვორონოვთა რუსი პატრიოტ-ინტერნაციონალისტების სახელოვანი ოჯახის მეოთხე თაობის წარმომადგენელია.

დილაადრიან მასთან ერთად მიკაშრეთ სახლს, რომელიც ასი წლის წინათ აუშენებიათ ვორონოვებს. თავის ძმასთან ერთად მას აქ „სოჯახო მუზეუმი“ მოუწყვია. აქ სამი ოთახი და სამზარეულოა. კარადებში და მაგიდაზე წიგნები აწყვია, ეკედლებზე პორტრეტები კიდია. ცენტრშია ნიკოლოზ ილიას ძე ვორონოვი. იურის პაპის ძმა. იგი 53 წლისაც კი არ იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ კავკასიის მცხოვრებთა შორის კეთილი ხსოვნა დატოვა.

ვფურცლავთ „კოლოკოლის“ გვერდებს. ეს გაზეთები სამგზავრო ზანდუკში საიმედოდ დამალული ჩამოუტანია ნიკოლოზ ილიას ძეს ლონდონიდან პეტერბურგში. იგი ა. გერცენს და ნ. ოგარიოვს ხვდებოდა. მსჯელობდნენ, თუ როგორ მოეგვარებინათ კავკასიონის უღელტეხილებიდან „კოლოკოლისა“ და თავისუფალი რუსული სტამბის სხვა გამოცემათა რუსეთში შეტანის საქმე. ჯაშუშებმა მიაგნეს „კოლოკოლის“ კორესპონდენტს ერთ-ერ ბაკავლს. ნიკოლოზ ილიას ძე პეტრეპავლეს ციხეში გამოამწყვდიეს.

„იასოჩკა“ — ასეთი ალერსიანი სიტყვით იხსენიებდნენ ვორონოვები თავიანთ კარ-მიდამოს. ეს მყუდრო -სახლი ნიკოლოზ ილიას ძის და ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის პროექტით აშენდა. მათ ოთხი შვილი ჰყოლიათ: ოლღა, ვერა, იური და ლუდმილა. ყველანი რევოლუციონერები დადგნენ.

მათ მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს ვორონოვთა ახლანდელ მეოთხე თაობას. კარადებში და ზარდახშებში ექვსი ათასზე მეტი წერილი, დღიური და სხვა დოკუმენტებია, XIX საუკუნის ორმოცდაათ წლებიდან ჩვენი საუკუნის პირველ ოცწლეულამდე. იური ნიკოლოზის ძე ძმასთან ვსევოლოდთან, დედასთან სვეტლანა ვასილის ასულთან ერთად თხუთმეტ წელს არჩევდა და ახარისხებდა მდიდარ არქივს. მათ ეხმარებოდა ლენინგრადელი ისტორიკოსი, პროფესორი ი. პ. ლებეროვი.

ასე გამოიყურებოდა „იასოჩკა“ საუკუნის დამდეგს.

აქ ნახავთ ოლღა ვორონოვას სურათს, ეს მან გახსნა „იასოჩკაში“ სახალხო სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების სოფლელი ბავშვები — აფხაზები, რუსები, ბერძნები, სომხები და ქართველები სწავლობდნენ.

გულადი, გულღია გამომეტყველება აქვს იური ვორონოვს. მის სახელს პატივისცემით იხსენიებენ აფხაზეთში. მან დაწვრილებით გამოიკვლია ამიერკავკასიის ფლორა. ვორონოვის სახელი ეწოდა ორმოცამდე ყვავილ და ბალახს.

თვალს ვერ მოსწყვეტავ ლუდმილა ვორონოვას წერილებსა და დღიურებს. იგი თავის ფიქრებსა და დარღებს უზიარებს დედას — ალექსანდრა კონსტანტინეს ასულს.

1903 წელს ლუდმილა ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა. მისი პარტიული მეტსახელი იყო „თამარი“. დედა იზიარებდა მის აზრებს და ყოველნაირად ეხმარებოდა რევოლუციონერ შვილებს. როცა შეიტყო, რომ „თამარი“ პეტერბურგის საპატიმროში დამწყვდიეს, დედაქალაქში მყოფ ვერას მისწერა: „გადაეცი ჩემს კარგ გოგოს, რომ მხნედ და ყოჩაღად ვარ. ჩემთვის ჩემი შვილები ნათელი შარავანდედით არიან გაერთიანებულნი... და მე თაყვანს ვცემ მათ“.

1901-დან 1906 წლამდე ლუდმილა პეტერბურგში სწავლობდა პეტრე ფრანცის ძე ლესგაფტის უმაღლეს პედაგოგიურ კურსებზე. როგორც ლენინგრადელმა ისტორიკოსებმა გამოიკვლიეს, 1905 წლის ნოემბრიდან 1907 წლის თებერვლამდე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი 20-ზე მეტჯერ ყოფილა კურსების კორპუსებსა და ლაბორატორიებში ახლანდელ მაკლინის პროსპექტზე, სადაც ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციტოლოგიის ინსტიტუტია. ლუდმილა ვორონოვას არაერთხელ მოუსმენია ილიჩის გამოსვლები.

ერთხელ საუბრის დროს ვლადიმერ ილიას ძეს ლუდმილასათვის უკითხავს, იცნობს თუ არა ქუთაისის „წითელ გუბერნატორს“ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის. რა თქმა უნდა, იცნობდა. ლუდმილას ბევრი რამის თქმა შეეძლო მასზე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტის დადგენილებით, 1905 წელს „თამარი“ ქუთაისში ჩავიდა სტაროსელსკის კომუნის ხელმძღვანელთან კავშირის დასამყარებლად. მასპინძელი სტუმარს თავის კაბინეტში დახვედრია. მკერდზე წითელი მიხაკი ეკეთა...

როცა ლუდმილამ ყველაფერი უამბო, ლენინმა წამოიძახა: „საოცარი შემთხვევაა რუსეთის რევოლუციის ისტორიაში, რომ მთელი ნახევარი წლის მანძილზე გუბერნიას ნიჭიერი რევოლუციონერი ადმინისტრატორი მართავდა... უნდა გავიცნო ეს საინტერესო კაცი“. ილიჩმა ქუთაისის კომუნის ხელმძღვანელი ერთი წლის შემდეგ, 1907 წლის დამდეგს გაიცნო ლესგაფტის კურსების ერთ-ერთ სალაბორატორიო კაბინეტში.

...ლუდმილას წერილებს შორის ნახავთ დედისთვის გაგზავნილ მოკლე ბარათებს. „გიგზავნი კარგ მეღუმლეს...“, „მიიღე, შეიფარე ამხანაგი“. ბარათებს ფოსტით კი არ გზავნიდა, არამედ „იასოჩკის“ დიასახლისს თვითონ სტუმრები გადასცემდნენ ხოლმე. მათ გვარებს ქალიშვილი არ უსახელებდა — კონსპირაცია იყო საჭირო. ამრიგად, 1902 წლიდან „იასოჩკა“ იმ ბოლშევიკებს თავშესაფარი გახდა, რომლებსაც ჟანდარმები დასდევდნენ.

—ასე მოხვდა „იასოჩკაში“ ჩემი მომავალი მამა. პასპორტში მას ეწერა — ვასილ ივანეს ძე ეროფეევი, — გვიამბობს სვეტლანა ვასილის ასული. — იგი ლუდმილას ბარათით ჩამოვიდა.

ეს იყო პეტერბურგის ერიქსონის ქარხნის ზეინკალი ტარასი როდიონის ძე მიასოედოვი. ლუდმილა მასთან ერთად 1905 წლის დეკემბრში მუშებს შორის აგიტაციას ეწეოდა. მალე იგი დაატიმრეს და შვიდი წლის ციმბირის კატორღა მიუსაჯეს. 1907 წელს ბობოქარ ანგარაზე ტივით გაიქეცა. ერთ თვეში ძლივს ჩააღწია პეტერბურგს. ლუდმილამ შეიკედლა. თავდაპირველად ვერც კი იცნო — გაუპარსავი, გასავთებული... ტარასის ორი დღეღამე დასჭირდა გამოსაძინებლად. ამასობაში ლუდმილამ და მისმა მეგობრებმა ლტოლვილს უშოვეს ფული და საიმედო პასპორტი, რომელშიც აღნიშნული იყო — „მეშჩანინი ეროფეევი“. ერთი კვირის შემდეგ „პატიმარი“ უკვე აფხაზეთის მზეს ეფიცხებოდა. ამ დროს კი, თვით 1917 წლის თებერვლამდე, ჟანდარმები დაეძებდნენ „საშიშ დამნაშავეს“-ტარასი მიასოედოვს, რომელიც ენისეის გუბერნიის სოფელ ბედოქსკოედან გაიქცა...

1907 წლის ნოემბერში ლ. ვორონოვა „იასოჩკაში“ სწერდა „მეშჩანინ ეროფეევს“: „რას შვრებით მანდ? ...ამუშავეთ, იმუშავეთ, ამხანაგო. გამოკვდეთ იარაღი,.. რათა ბოლომდე სულ წინ ვიაროთ. რომ თქვენს მუშურ ხელში არასოდეს არ შედრკეს დროშა...“

1921 წლის გაზაფხულზე ტარასი მიასოედოვი მახნოლთან ბახდასთან შეტაკებისას დაიღუპა.

შეიძლება ითქვას, ერთ წერილსაც კი ვერ ნახავთ, რომელშიც ლუდმილა თავის ხვედრს უჩიოდეს. „იასოჩკაში“ გაგზავნილი ყოველი ბარათი აღსავსეა პროლეტარიატის გმირურ ბრძოლებზე. „სჯობს ცოტა ხანს, მაგრამ ჩირაღდანივით ეხოო, — წერდა იგი, — ვიდრე ნაცრის ქვეშ ძლივს ღვიოდე“.

დიდი ოქტომბრის შემდეგ ლუდმილა თითქმის ნახევარ საუკუნეს მუშაობდა სოხუმისა და წებელდის სკოლებში. ყოველი მისი გაკვეთილი რევოლუციის გმირებზე, ვლადიმერ ილიას ძეზე მოგონებათა ფურცელი იყო. იგი ყოველდღე ბავშვებს ფიზკულტურაზე ავარჯიშებდა იმ სისტემით, რომელიც მისმა საყვარელმა პროფესორმა პ. ფ. ლესგაფტმა შეიმუშავა.

მეცადინეობისას იმის მაგალითები მოჰყავდა ხოლმე, თუ როგორ ეხმარებოდა ფიზკულტურა რევოლუციურ ცხოვრებაში, — გვიამბობს მისი ყოფილი მოსწავლე ვარსენიკ გრიგორიანი, ამჟამად ეშერის სკოლის მასწავლებელი. რომელიღაც ქალაქში ლუდმილას გემზე აგვიანდებოდა. ჟანდარმები მოსდევდნენ. ბოგირი უკვე მოეხსნათ და იგი ნაპირიდან პირდაპირ დაძრულ გემზე გადახტა. ვიღაცეებმა ხელი შეაშველეს ქალიშვილს. კაპიტანმა არაფრად ჩააგდო ნაპირიდან ჟანდარმების გაფაფრებული სტვენა და ბრძანება გასცა: „სრული სვლით!“.

...„იასოჩკის“ გარშემო გაუვალი ჯაგნარია, მის უკან — ასწლოვანი ხეები. დასვენების შემდეგ ყოველი სტუმარი ცდილობდა რაიმე საჩუქარი დაეტოვებინა დიასახლისისათვის. ასე გაშენდა თხილნარი და ცაცხვნარი. აღპური მდელოებიდან გადმორგეს ედელვეისები. 1908 წელს, როგორც იურის ბებიის დედა იხსენებდა, 80 იფნის ხეივანი გაშენდა — ამდენი რევოლუციონერი შეიფარა მაშინ ამ სახლმა. იმ იფნებიდან საღეღისოდ ორი ბებერი ხეღა შემორჩა...

შეიძლება მკითხველმა იკითხოს: როდის შეიძლება „იასოჩკაში“ ჩასვლა?

ჯერ ადრეა. სარესტავრაციო სამუშაოები იწყება. ძირითადი მაგისტრალიდან საიმედო გზა გაჭყავთ.

— რევოლუციის ისტორიის მუზეუმი „იასოჩკა“, — გვითხრა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუტბამ, — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის გაიხსნება.

ვ. მოლჩანოვი,
(„პრავდის“ სპეც. კორ.)
„პრავდა“. 1987 წ. 7 IV

რატომ და როდემდის?!

გაადვილდა ჩვენში წიგნის გამოცემა. არც ზედმიწევნით გაფორმებული, უძვირფასესს ქაღალდზე დაბეჭდილი და ყდაში ჩასმული წიგნის გამოცემა ჭირს. ოღონდ, გააჩნია, რა რანგის სავარძელში ზიხარ, ანდა როგორ მიდგებ-მოდგები და გაჩაღიჩდები, წიგნს გამოსცემ, მტერს თვალი დაუდგება, განა ბევრი კითხულობს, შიგ რა ძევს? უმრავლესობა მაინც „სტენკის“ შესავსებად ყიდულობს.

რა იღონოს ასეთ დროს შოთა რუსთაველმა? ცხადია, თავისი პოემის გამოცემებს თავზე ვერ დაადგება, ქაღალდს ვერ შეიტანს სტამბაში და ვერიფს ვერ შეაჩერებს... ჰოდა, მოგვანდო ჩვენ — შოთამოყვარეობას „ვეფხისტყაოსნის“ გამოკვება. მაგრამ შეცდა სუემნათი — ჩვენი გამომცემლობების მუშაკებისა და პოეიგრაფისტების იმედად ყოფნა ფუჭი საქმეა. თავზე უნდა დადგომა, თავზე, გინდ უპირველესი პოეტი იყავი!

თუ ვცდები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ახლახან გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ნახეთ (რედაქტორი თ. დაუშვილი, მხატვარი — ზ. ფორჩხიძე, მხატვრული რედაქტორი — დ. ფუნდუა, ტექნიკური რედაქტორი — ვ. ხუკინშვილი, გამომშვები — ნ. მანაგაძე, დაიბეჭდა საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოეიგრაფიისა და ფიწნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, დირექტორი — ც. ხაზარაძე). რა თქმა უნდა, ქაღალდის ნაკლებობის გამო პოემა ორნაირ ქაღალდზეა დაბეჭდილი, ხოლო აკინძული იმნაირად არის, რომ რამდენიმე გადაფურცვლის შემდეგ, ფურცლები ერთიანად ჭვივა. ყდაშიც უგულისყუროდ ჩაუსვამთ და ნაპირები უშნოდ ჩამოუჭრიათ. არა გვგონია, მსოფლიოს რომელიმე კულტურულმა ერმა ასეთი „პატივით“ გამოსცეს თავისი უპირველესი პოეტი. ეს აღბათ მარტო ჩვენთან ხდება! რატომ და როდემდის?

ვ. მარდალეიშვილი.

ბედნიერი იყავ, ლელა!

ამბროლაურის რაიონში შექმნილი „ლელა ვაშაძის ფონდი“ ერთხელ კიდევ მოწმობს იმ ადამიანთა სულიერ ძალასა და შეკავშირებას, რომლებმაც უკვე გაიცადეს სტენკის ძალა და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ კიდევ ერთი შემოტევა.

სტენკიური უბედურების მსხვერპლთა ნუსხაში ორი ადამიანი ამბროლაურის რაიონიდანაც არის, ორივენი — ვაშაძეების ოჯახიდან. სოფელ ჭრებალოში წამოსულმა მეწყერმა დაანგრია განცალკევებით მდგომი სახლი. დაიღუპნენ 15 წლის ლელას დედა და უმცროსი მამა. ხოლო ყველამდე მიწაში ჩაფლული გოგონა შემოსწრებულმა მეზობლებმა გადაარჩინეს. თორმეტ დღეს იწვა იგი საავადმყოფოში, ახლა კი ბიძასთან, სოფელ ლიბეთში ცხოვრობს.

ბევრი განიცადეს წლევანდელ ტრაგიკულ ზამთარში ამბროლაურელებმა, მაგრამ დაობლებული გოგონას ბედმა ყველა შეაძრწუნა. რაიონულ შემხახველ სალაროში ლელა ვაშაძის სახელზე გაიხსნა ანგარიში, რომელზეც ყველა სოფლიდან რიცხავენ ფულს. „ლელას ფონდში“ პირველებმა ჩარიცხეს ფული ამ საქმის ინიციატორებმა, რაიონის პედაგოგებმა. ახლა უკვე შეგროვილია დაახლოებით ცხრა ათასი მანეთი.

— მაგრამ, განა ფულია მთავარი? — თქვა ლიხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გრიგოლ ბეშიძემ, სადაც ახლა ლელა სწავლობს. — უფროსობიც და ბავშვებიც — ლელას მეგობრები, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მან თავი მარტოდ არ იგრძნოს. მეცხრე კლასში, სადაც იგი უკვე ორი კვირაა თავის ბიძაშვილთან ლაშასთან ერთად სწავლობს, სულ რვა ბავშვია. ისინი ცდილობენ გაკვეთილების შემლებმაც მთელი ყურადღება წყალდიდობაზე გადაიტანეს, ამავე დროს ფართო ფრონტით უნდა გაშალონ სარემონტო სამუშაოები. ამ ზაფხულს მთ მოუწევთ განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება. დიდთოვლობის, წყალდიდობის, ზვავებისა და მეწყერების ჩამოწოლის შედეგად სერიოზულად დაზარალდა რეპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობა. უკვე აღდგა ასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, საყრდენი ბოძები. მალე დაიწყება დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზი-500-ის აღდგენაც, რომელიც ამიერკავკასიის ენერგოსისტემას რუსეთის სფსრ სამხრეთთან აკავშირებს. ენერგეტიკოსებს დაგეგმილი აქვთ, უკვე აგვისტოში უპატაკოან სამშობლოს, რომ ეს მაღალძაბიანი ენერგოხიდი მზად არის ზამთრის პირობებში მუშაობისათვის.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის საკითხებს. აღინიშნა, რომ მეკონტროლებელი ინსპექციის მუშაობა უნდა იყოს უფრო ეფექტიანი, მოჰქონდეს საგრძნობი შედეგები. ეს განსაკუთრებით ეხება სახნავთობნამსპეტქიას, რომელ ლ ი ც ზმრად კმაყოფილდება იმ საწარმოთა შემოწმებით, სადაც უმნიშვნელოა სათბობი რესურსების გამოყენება. (საქინფორმი).

წყალდიდობამ გართულება რომ არ გამოიწვიოს

დასავლეთ საქართველოში დაიწყო წყალდიდობა, რომლისთვისაც მაქსიმალურად მომზადებაში სპეციალისტებს ელექტრონაკა დაეხმარა. ადიდების დროს მდინარეთა „ქცევის“ ათობით ყოველგვარი ვარიანტის მოდელი შექმნეს ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით, რომლებიც დაეხმარნენ ენერგეტიკოსებს გამოეანგარიშებინათ, რა სიდიდის ტევადობა არის გამოსათავისუფლებელი გამდნარი თოვლისათვის. დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი წყლის მიღება შეუძლიათ ენგურისა და ფინვალის ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებს.

ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ოპერატიული ჯგუფის თათბირზე, რომელიც წყვეტს სათბობ-ენერგეტიკ ულ ი რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხებს. ენერგეტიკოსებმა, რო-

ბედნიერი იყავ, ლელა!

ამბროლაურის რაიონში შექმნილი „ლელა ვაშაძის ფონდი“ ერთხელ კიდევ მოწმობს იმ ადამიანთა სულიერ ძალასა და შეკავშირებას, რომლებმაც უკვე გაიცადეს სტენკის ძალა და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ კიდევ ერთი შემოტევა.

სტენკიური უბედურების მსხვერპლთა ნუსხაში ორი ადამიანი ამბროლაურის რაიონიდანაც არის, ორივენი — ვაშაძეების ოჯახიდან. სოფელ ჭრებალოში წამოსულმა მეწყერმა დაანგრია განცალკევებით მდგომი სახლი. დაიღუპნენ 15 წლის ლელას დედა და უმცროსი მამა. ხოლო ყველამდე მიწაში ჩაფლული გოგონა შემოსწრებულმა მეზობლებმა გადაარჩინეს. თორმეტ დღეს იწვა იგი საავადმყოფოში, ახლა კი ბიძასთან, სოფელ ლიბეთში ცხოვრობს.

ბევრი განიცადეს წლევანდელ ტრაგიკულ ზამთარში ამბროლაურელებმა, მაგრამ დაობლებული გოგონას ბედმა ყველა შეაძრწუნა. რაიონულ შემხახველ სალაროში ლელა ვაშაძის სახელზე გაიხსნა ანგარიში, რომელზეც ყველა სოფლიდან რიცხავენ ფულს. „ლელას ფონდში“ პირველებმა ჩარიცხეს ფული ამ საქმის ინიციატორებმა, რაიონის პედაგოგებმა. ახლა უკვე შეგროვილია დაახლოებით ცხრა ათასი მანეთი.

— მაგრამ, განა ფულია მთავარი? — თქვა ლიხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გრიგოლ ბეშიძემ, სადაც ახლა ლელა სწავლობს. — უფროსობიც და ბავშვებიც — ლელას მეგობრები, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მან თავი მარტოდ არ იგრძნოს. მეცხრე კლასში, სადაც იგი უკვე ორი კვირაა თავის ბიძაშვილთან ლაშასთან ერთად სწავლობს, სულ რვა ბავშვია. ისინი ცდილობენ გაკვეთილების შემდეგაც მასთან იყვნენ. ლელა განსაკუთრებით დაუმეგობრდა ჩვენი მათემატიკის მასწავლებლის ქალიშვილს მაია რეგვიაშვილს. ბიძამისი კი ამირებს იშვილოს გოგონა...

შესვენების დროს ვნახეთ ლელა მეგობრებთან ერთად. ბლოკნოტები არ ამოგვიღია — არის ხოლმე ისეთი სიტუაცია, როცა ჟურნალისტებს კითხვების დასმის თავი არა აქვთ. მაგრამ მის დობილს — მაიას მაინც შევეკითხეთ: რას აპირებს ლელა მომავალში?

— ბიძის ოჯახი ახლა მშობლიურია. ლელას ოცნებაა ექიმი გახდეს. დედამისი — მედდა, როცა იგი ნახარეგებში იპოვეს, შვილს გადაჰფარებოდა, სიმწრისაგან ტუჩები მოლად დაეკვნიტა.

ახლა ლიხეთის მცხოვრებლებსაც, რომლებმაც გოგონა შვილივით მიიღეს, და ჭრებალოელებსაც სწამთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამბროლაურის რაიონში იმუშავებს ექიმი ლელა ვაშაძე.

ბ. ბაზაევი,
ვ. გოლოვინი.
საქინფორმის სპეც. კორ.

კალათბურთი უყვართ ჩვენში

კალათბურთის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა რესპუბლიკის ვაჟთა გუნდების შორის საქმიანი კონტაქტების დამყარება იმ მიზნით, რომ კალენდარი დატვირთული და სრულყოფილი იყოს. სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად საქართველოს ჩემპიონატის ახალი ფორმულა, რომელიც გასულ შაბათს შევიდა ძალაში. აქამდე კი ასე იყო: წელიწადში ერთხელ რომელმე ქალაქში ნაუცხათვალდ შეკრებილი ათი-თორმეტი გუნდი ერთ კვირაში ამთავრებდა საქმეს და მერე „მკვდარი სეზონი“ იწყებოდა.

ახლებურ სისტემას (გუნდები ოთხჯერ ხვდებიან ერთმანეთს — შინ ორჯერ და მეტოქის მოედანზეც ორჯერ) ერთი არსებითი უპირატესობა აქვს: იგი ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას და ეროვნული კალათბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას მისცემს, რაც საკალათბურთო ცხოვრებას რესპუბლიკაში საგრძნობლად გამოაცოცხლებს.

გასულ შაბათ-კვირას მთელი ქუთაისი საკალათბურთო ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. დიდსა და პატარას მატჩზე დასწრება სურდა. იცით, რომ დაიარტყრესა ქუთაისურები? იმან, რომ გელა დარსაძის თამაშის ნახვის საშუალება მიეცათ, თანაც თავიანთ შობლიურ გუნდში. ჩემპიონატის დებულების თანახმად, რესპუბლიკის უძლიერეს კალათბურთელებს უფლება აქვთ დაიცვან იმ უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივების ღირსება, სადაც ისინი სწავლობენ. ასე მოხვდნენ უნივერსიტეტის გუნდის განაცხადში დ. ტალაბაძე, ა. ტიუბანი და ი. ბოროდაჩოვი, ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივში, — ა. ფერიაშვილი და გ. კალათაძე, ტექნიკურ ინსტიტუტში — ბ. ფუნდუა, ტ. ჯანელიძე, ბ. ფუნდუა, ბ. ჭელიძე, ბ. ბიბილეიშვილი, ბ. ბაბალიძე, ბ. ბაბალიძე, ბ. ბაბალიძე